საზოგადოება

პედაგოგთა პროფკავშირი კონკურსში გამარჯვებულ პედაგოგებს დააჯილდოებს

10:03 18-12-2010

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი დღეს, კონკურსში - "საუკეთესო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში" გამარჯვებულ პედაგოგებს დააჯილდოებს. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან აცნობეს.

კონკურსი პედაგოგთა პროფკავშირთან არსებულმა ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბმა პროფკავშირის 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოაცხადა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 20-მა პედაგოგმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომელთა შორის კომპეტენტურმა კომისიამ სამი საუკეთესო გაკვეთილის ნიმუში გამოავლინა. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო და დიპლომი, ხოლო კონკურსის ყველა მონაწილე სიგელს მიიღებს.

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია სასტუმრო "ვილა მთიებში", 13:00 საათზე გაიმართება.

მასალის გამოყენების პირობები